

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №

2013 წლის მაისი

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეთა კონკურსისა
და ატესტაციის ჩატარების და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის საქმიანობის დებულების
დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის, „საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 5 თებერვლის №46 ბრძანებულებისა და „საჯარო მოხელეთა ატესტაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 5 თებერვლის №47 ბრძანებულების შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. დამტკიცდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეთა კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის საქმიანობის დებულება დანართი N1-ის შესაბამისად

მუხლი 2. დამტკიცდეს მოხელის დახასიათების ფორმა დანართი N2-ის შესაბამისად;

მუხლი 3. დამტკიცდეს საატესტაციო ფურცლის ფორმა დანართი N3-ის შესაბამისად;

მუხლი 4. დამტკიცდეს სამუშაო აღწერის ფორმა დანართი N4-ის შესაბამისად;

მუხლი 5. დამტკიცდეს კანდიდატის განაცხადის ფორმა დანართი N5-ის შესაბამისად;

მუხლი 6. დამტკიცდეს კანდიდატის შეფასების ფორმა დანართი N6-ის შესაბამისად;

მუხლი 7. დამტკიცდეს კონკურსანტის ფურცლის ფორმა დანართი N7-ის შესაბამისად;

მუხლი 8. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ამირან გიგინეიშვილი

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეთა კონკურსისა
და ატესტაციის ჩატარების და საკონკურსო-საატესტაციო
კომისიის საქმიანობის დებულება**

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. გამოყენების სფერო

ეს დებულება ვრცელდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატისა და გამგეობის (შემდგომში – ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი) საჯარო მოხელეებსა და თანამდებობის კონკურსის წესით დაკავების მსურველ კანდიდატებზე. განსაზღვრავს კონკურსის/ატესტაციის ჩატარების პრინციპებს, პროცედურებს, ფორმებს, პირობებსა და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის (შემდგომში – კომისია) საქმიანობის წესს.

მუხლი 2. კონკურსისა და ატესტაციის პრინციპები

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში კონკურსის და ატესტაციის პრინციპებია:

- ა) ობიექტურობა - კონკურსის პროცედურები უნდა იყოს არადისკრიმინაციული და მაქსიმალურად გამოირიცხოს სუბიექტური გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა;
- ბ) გამჭვირვალობა - გამოყენებული პროცედურები, მეთოდები და შეფასების კრიტერიუმები უნდა იყოს ნათლად ფორმულირებული, გასაგები და აღქმადი ყველა პრეტენდენტისათვის;
- გ) არადისკრიმინაციულობა - კონკურსის პროცედურები უნდა უზრუნველყოფდეს მოქალაქეთა თანასწორობას განურჩევლად რასის, სქესის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, საზოგადოებაში მათი მდგომარეობის, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა;
- დ) საჯაროობა - კონკურსის პროცედურასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტები, საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სხდომის ოქმები და კონკურსის შედეგები ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა დაინტერესებული პირისათვის;
- ე) კოლეგიურობა - კონკურსის ეტაპები უნდა ჩაატარდეს და შედეგები უნდა დამტკიცდეს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მიერ;
- ვ) კორექტულობა - კონკურსის ჩატარების ფორმები და მეთოდები, დასმული შეკითხვები უნდა იყოს კორექტული, საკონკურსო-საატესტაციო კომისია უნდა იყოს კეთილგანწყობილი და არ ახდენდეს კანდიდატზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას.

თავი II

საკონკურსო-საატესტაციო კომისია

მუხლი 3. საკონკურსო-საატესტაციო კომისიის შემადგენლობა

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში საჯარო თანამდებობის დასაკავებლად კონკურსსა და საჯარო მოხელეთათვის ატესტაციას ატარებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისია (შემდგომში – კომისია).
2. კომისიის შემადგენლობაში შედიან კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და წევრები.
3. კომისიის თავმჯდომარეს ნიშნავს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო (შემდგომში – საკრებულო) „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 36² მუხლის შესაბამისად.

4. კომისიის წევრთა რაოდენობას და შემადგენლობას განსაზღვრავს კომისიის თავმჯდომარე. კომისიის შემადგენლობაში უნდა შედიოდეს: პროფესიული კავშირის წევრი(ები); მოწვეული დამოუკიდებელი სპეციალისტი(ები). კომისიის შემადგენლობაში ასევე შეიძლება შედიოდნენ: ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეები (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კონკურსი გამოცხადებულია ამ თანამდებობაზე და/ან კომისიამ უნდა მოხდინოს მისი ატესტაცია), საკრებულოს წევრები, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

5. კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს ნიშნავს კომისიის თავმჯდომარე.

6. კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მის უფლებამოსილებებს ახორციელებს კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

მუხლი 4. კომისიის წევრთა დანიშვნის წესი

კომისიის წევრებს კომისიის თავმჯდომარე ნიშნავს შემდეგი წესით:

ა) დაქვემდებარებაში მყოფი მოხელეები ინიშნებიან საკუთარი სურვილით და პროფესიული დონის გათვალისწინებით;

ბ) მოხელეთა პროფესიული გაერთიანების წარმომადგენლები ინიშნებიან შესაბამისი გაერთიანების წინადადებით;

გ) კომისიის შემადგენლობაში შეიძლება მოწვეულ იქნენ მეცნიერები და დამოუკიდებელი სპეციალისტები, რომლებიც ინიშნებიან მათი თანხმობით.

დ) ის მოხელე, რომლის ატესტირებაც უნდა მოახდინოს კომისიამ, არ შეიძლება შედიოდეს კომისიის შემადგენლობაში.

მუხლი 5. კომისიის სპეციალიზებული შემადგენლობა

1. საჭიროების შემთხვევაში კომისია შეიძლება დაკომპლექტდეს სპეციალიზებული შემადგენლობით.

2. კომისიის სპეციალიზებული შემადგენლობით დაკომპლექტების შემთხვევაში მის თავმჯდომარეს ნიშნავს კომისიის თავმჯდომარე

მუხლი 6. კომისიის სამდივნო

1. კომისიის საქმიანობის ორგანიზებისა და მუშაობის ეფექტურად წარმართვის მიზნით კომისიის თავმჯდომარე ქმნის კომისიის სამდივნოს (შემდგომში – სამდივნო).

2. სამდივნო კომისიის საქმიანობის ორგანიზების მიზნით:

ა) უზრუნველყოფს კონკურსის გამართვისათვის საჭირო ყველა ორგანიზაციული საკითხის გადაწყვეტას;

ბ) უზრუნველყოფს კონკურსისა და ატესტაციასთან დაკავშირებით გამოცემული სამართლებრივი აქტების საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას;

გ) კონკურსანტების განცხადებების მიღებას;

დ) ამოწმებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების კანონით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობას.

3. სამდივნო კომისიის საქმიანობის ეფექტურად წარმართვის მიზნით:

ა) ტექნიკურად უზრუნველყოფს კომისიის სხდომების მომზადებას;

ბ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ასრულებს კომისიის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილისა და წევრების ცალკეულ დავალებებს;

გ) უზრუნველყოფს საკონკურსო-საატესტაციო კომისიაში შემოსული კორესპონდენციის აღრიცხვას და სათანადო კომპიუტერული მონაცემთა ბაზის შექმნას.

4. სამდივნოს შემადგენლობას განსაზღვრავს კომისიის თავმჯდომარე. სამდივნოს საქმიანობას ხელმძღვანელობს მდივანი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს კომისიის თავმჯდომარე.

5. მდივანი პასუხისმგებელია სამდივნოს საქმიანობისთვის კომისიის თავმჯდომარის წინაშე.

6. კონკურსის ან ატესტაციის შედეგების გამოქვეყნების შემდეგ სამდივნო წყვეტს საქმიანობას კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით.

მუხლი 7. კომისიის მუშაობის წესი

1. კომისიის წევრებს შორის უფლება-მოვალეობებს ანაწილებს და კომისიის მუშაობის რეჟიმს განსაზღვრავს კომისიის თავმჯდომარე.
2. კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება.
3. კომისიის გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით, დამსწრე კომისიის წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა.
4. კომისიის სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და დამსწრე კომისიის წევრები. კომისიის წევრს უფლება აქვს თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.
5. კომისიას აქვს **ბეჭედი** და ბლანკი.
6. კომისიის **ბეჭდისა** და ბლანკის ფორმებსა და აღწერილობას ამტკიცებს კომისიის თავმჯდომარე, კომისიასთან შეთანხმებით.

თავი III კონკურსი

მუხლი 8. კონკურსის მიზნები და ამოცანები

1. კონკურსის მიზანია ვაკანტური თანამდებობის მოთხოვნათა გათვალისწინებით შესაბამისი კანდიდატის შერჩევა;
2. კონკურსის ამოცანაა კანდიდატის კვალიფიკაციის, პროფესიული დონის, შესაძლებლობებისა და პიროვნული თვისებების შეფასება და დასაკავებელი თანამდებობის მოთხოვნებთან მისი შესაბამისობის განსაზღვრა.

მუხლი 9. კონკურსის გამოცხადება

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის თანამდებობაზე ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში ან საკრებულოს აპარატში ვაკანსიის არსებობის ან/და საშტატო ერთეულის დამატების საჭიროების შემთხვევაში, საკრებულოს თავმჯდომარე კომისიას წარუდგენს საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებას ვაკანსიის გამოცხადების შესახებ ან/და საკრებულოს აპარატში შტატის დამატების შესახებ, რომელსაც თან ერთვის არსებული ან/და დამატებული თანამდებობის სამუშაოს აღწერა (დანართი №4).
2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობაში ვაკანსიის არსებობის ან/და საშტატო ერთეულის დამატების საჭიროების შემთხვევაში, საკრებულოს თავმჯდომარეს წარუდგენს მოხსენებით ბარათს, რომელსაც თან ერთვის არსებული ან/და დასამატებელი თანამდებობის საჭიროების დასაბუთება და სამუშაოს აღწერა (დანართი №4). განხილვის შედეგად საკრებულოს თავმჯდომარე გამოსცემს შესაბამის ბრძანებას ვაკანსიის გამოცხადების შესახებ ან/და შტატის დამატების შესახებ და წარუდგენს მას კომისიას, რომელსაც თან ერთვის არსებული ან/და დამატებული თანამდებობის სამუშაოს აღწერა (დანართი №4).
3. კონკურსის გამოცხადების შესახებ შეტყობინების მომზადებას და გამოქვეყნებას უზრუნველყოფს კომისია.
4. კონკურსს, მოხელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად, კომისია აცხადებს საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის (hr.gov.ge) საშუალებით. კონკურსის გამოცხადების დღედ ითვლება ბოლო გამოცხადების დღე.
5. 2014 წლის 1 იანვრამდე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია მოხელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად საჯარო კონკურსი გამოაცხადოს აგრეთვე შესაბამის ბეჭდვით ორგანოში.
6. შეტყობინება კონკურსის შესახებ უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

- ა) დაწესებულების დასახელებას;
- ბ) კონკურსის წესით დასაკავებელი თანამდებობის დასახელებას და რაოდენობას;
- გ) კანდიდატის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს (განათლება, კვალიფიკაცია და უნარები);
- დ) შესასრულებელი სამუშაოს აღწერას;
- ე) განცხადებებისა და სხვა აუცილებელი დოკუმენტაციის წარდგენის ვადას; წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალს;
- ვ) კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში სამსახურში მიღებისას წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალს;
- ზ) კონკურსის თემატიკას და ფორმას;
- თ) საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მისამართს;
- ი) თანამდებობრივი სარგოს ოდენობას.

7. კომისიის სხდომა ტარდება კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით კონკურსის გამოცხადების დღიდან არა უადრეს 14 დღისა.

8) კონკურსში მონაწილეობისათვის განცხადების წარდგენა ხდება ელექტრონული ფორმით, საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის მეშვეობით, 2014 წლის 1 იანვრამდე აგრეთვე, შესაძლებელია განცხადების წარდგენა კომისიის სამდივნოში, წერილობითი ფორმით, სხვა წარსადგენ დოკუმენტებთან ერთად.

მუხლი 10. მოთხოვნები, რომლებიც წაყენება კანდიდატს

1. თუ სამართლებრივი აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს ქმედუნარიან მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან, რომელიც ფლობს სახელმწიფო ენას და აკმაყოფილებს ვაკანტური თანამდებობის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს.
2. დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები დგინდება საკრებულოს დადგენილებით.
3. მოხელეს უფლება აქვს მიიღოს კონკურსში მონაწილეობა საერთო წესის საფუძველზე, მის მიერ დაკავებული თანამდებობის მიუხედავად.

მუხლი 11. კონკურსისათვის წარსადგენი საბუთები

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატმა უნდა წარადგინოს:

- ა) კანდიდატის განაცხადის ფორმა (დანართი №5);
- ბ) კონკურსის შესახებ შეტყობინებით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტები.

მუხლი 12. განაცხადთა განხილვა

1. განცხადებათა მიღება იწყება კონკურსის გამოცხადების შესახებ განცხადების გამოქვეყნებიდან მეორე დღეს და მთავრდება კონკურსის გამოცხადებიდან მეთოთხმეტე დღის 18:00 საათზე.
2. კონკურსანტმა საკონკურსო-საატესტაციო კომისიას უნდა წარმოუდგინოს კომისიის მიერ შემუშავებული პირობებით განსაზღვრული დოკუმენტაცია (საბუთები);
3. განცხადებების მიღების დამთავრებიდან 3 დღის ვადაში კომისია ახდენს განცხადებებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის (საბუთების) გადამოწმებას.
4. განცხადებების რეგისტრაცია ხდება განცხადების შემოსვლის რიგითობის მიხედვით.
5. კონკურსანტის მიერ საბუთების დადგენილ ვადაში წარმოუდგენლობის ან არასრულად წარმოდგენის შემთხვევაში, ან თუ წარმოდგენილი საბუთები გადამოწმების შედეგად არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს, კომისია იღებს გადაწყვეტილებას პირის კონკურსში მონაწილეობის დაშვებაზე უარის თქმის შესახებ.
6. განცხადებების მიღების დამთავრებიდან 5 დღის ვადაში კომისია აქვეყნებს იმ პირთა სიას, რომლებიც იქნენ დაშვებულნი კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

7. კონკურსში მონაწილეთა სიის გამოქვეყნებიდან გასაუბრების დაწყების წინა დღის 18:00 საათამდე კონკურსანტებზე გაიცემა კონკურსანტის ფურცელი კონკურსანტის ფოტოსურათით, მისი სახელის, გვარისა და რეგისტრაციის ნომრის მითითებით. კონკურსანტის ფურცელს ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე.

8. კონკურსანტი კონკურსანტის ფურცლის მიღებას ამოწმებს შესაბამის ჟურნალში ხელმოწერით. კონკურსანტი, ამ წესით დადგენილ ვადაში კონკურსანტის ფურცლის მიუღებლობის შემთხვევაში არ დაიშვება კონკურსში.

მუხლი 13. კონკურსის ჩატარების პროცედურა

1. კონკურსი შესაძლებელია მოიცავდეს შემდეგ ეტაპებს:

ა) ტესტირება;

ბ) გასაუბრება;

2. კონკურსის ფორმას (ტესტირება, გასაუბრება), თემატიკას, პირობებს და ჩატარების გრაფიკს განსაზღვრავს კომისია.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული ინფორმაციის საჯაროობას უზრუნველყოფს კომისიის თავმჯდომარე კონკურსის ჩატარებამდე არა უგვიანეს 14 დღისა.

4. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის არქონის, აგრეთვე არასაპატიო მიზეზით დაგვიანების შემთხვევაში კანდიდატი კონკურსის პროცედურაზე არ დაიშვება.

მუხლი 14. ტესტირება

1. ტესტის ფორმას, შეფასების კრიტერიუმებს და აუცილებელ ქულათა მინიმალურ ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს საკონკურსო-საატესტაციო კომისია;

2. დადებითი შეფასების მისარებად კანდიდატმა უნდა დააგროვოს კომისიის მიერ დადგენილი აუცილებელ ქულათა მინიმალური რაოდენობა მაინც.

მუხლი 15. გასაუბრება

1. გასაუბრებაზე დაიშვებიან ის კანდიდატები, რომლებმაც წარმატებით გაიარეს პირველი ეტაპი (კანდიდატთა მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის შერჩევა).

2. გასაუბრებაზე დაშვებულ კონკურსანტთა სიას გასაუბრების ჩატარების დროისა და ადგილის მითითებით აქვეყნებს კომისია, გასაუბრების დაწყებამდე 2 დღით ადრე.

3. კომისიამ კანდიდატთან გასაუბრებისას შეიძლება გამოიყენოს წინასწარ შემუშავებული კითხვარი, რომელიც საშუალებას მისცემს მიიღოს ინფორმაცია კანდიდატის უნარ-ჩვევების, პროფესიული კვალიფიკაციისა და გამოცდილების თაობაზე, რომელიც საჭიროა ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად.

4. გასაუბრებაზე კონკურსანტები უნდა გამოცხადდნენ დილის 10 საათზე. 10:00-დან 11:00 საათამდე ხდება კონკურსანტთა რეგისტრირება კონკურსანტთა მიერ სპეციალურ ჟურნალში ხელმოწერით. კონკურსანტთა რეგისტრაციის ჟურნალში კომისიის უფლებამოსილი პირის მიერ კეთდება შესაბამისი ჩანაწერი და დაგვიანებული პირები გასაუბრებაზე არ დაიშვებიან.

5. გასაუბრებაზე გამოცხადებისას კონკურსანტმა თან უნდა იქონიოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და კონკურსანტის ფურცელი. წინააღმდეგ შემთხვევაში კონკურსანტი გასაუბრებაზე არ დაიშვება.

6. კონკურსანტებს გასაუბრების ოთახში იძახებს კომისიის მიერ უფლებამოსილი პირი კონკურსანტების სარეგისტრაციო ნომრის მიხედვით. გასაუბრების ოთახში კონკურსანტები შედიან სათითაოდ.

7. გასაუბრებაზე გამოუცხადებლობის ან დაგვიანების შემთხვევაში, მიუხედავად გამოუცხადებლობის/დაგვიანების მიზეზისა (საპატიოა თუ არასაპატიო), კონკურსანტი იხსნება კონკურსიდან.

8. გასაუბრების დროს კონკურსანტს ეკრძალება ნორმატიული აქტების, კანონთა კომენტარების, სახელმძღვანელოების ან სხვა ანალოგიური მასალის, მობილური ტელეფონის, აუდიო ან სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენება.

9. კონკურსანტის მიერ გასაუბრების გავლას თითოეული წევრი აფასებს ინდივიდუალურად. გასაუბრების შედეგები ცალკე არ ჯამდება და კონკურსანტებს არ ეცნობება.

მუხლი 16. კონკურსის შედეგები

1. კომისია კონკურსის შედეგებს განიხილავს სხდომაზე კანდიდატების დაუსწრებლად.

2. კონკრეტულ ვაკანტურ ადგილზე კონკურსში მონაწილე ყველა კანდიდატი ფასდება ინდივიდუალურად და ივსება კანდიდატის შეფასების ფორმა (დანართი №6).

3. კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი განისაზღვრება ამ წესის მე-7 მუხლის შესაბამისად.

4. კონკურსის შედეგების მიხედვით, კომისია თითოეულ ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნად წარადგენს ერთ კანდიდატს ან უარს აცხადებს წარდგენაზე.

5. კომისია გადაწყვეტილების მიღებიდან არა უგვიანეს 5 დღისა, აცნობებს ყოველ კანდიდატს მის მიმართ გამოტანილ გადაწყვეტილებას, ხოლო საკრებულოს თავმჯდომარეს (გამგებლის ვაკანსიის არსებობის და საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეთა ვაკანსიის არსებობის ან/და შტატის დამატების შემთხვევაში) ან გამგებელს (გამგებობის საჯარო მოხელეთა ვაკანსიის არსებობის ან/და შტატის დამატების შემთხვევაში) კომისიის მიერ წამოყენებული კანდიდატის, ან კანდიდატის წამოყენებაზე უარის შესახებ.

6. თუ კომისიამ უარი განაცხადა თანამდებობაზე დასანიშნად კანდიდატის წამოყენებაზე, ან ამ თანამდებობაზე არ იქნა მიღებული არც ერთი განცხადება, ამ თანამდებობაზე გამოცხადებული კონკურსი ითვლება ჩაშლილად.

თავი IV ატესტაცია

მუხლი 17. ატესტაციის მიზნები და ამოცანები

1. ატესტაციის მიზანია:

ა) მოხელის პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციის, შესაძლებლობებისა და პიროვნული თვისებების შესაბამისობის განსაზღვრა დაკავებული (ან დასაკავებელი) თანამდებობის მოთხოვნებთან;

ბ) მოხელის მიერ საატესტაციო პერიოდში შესრულებული პროფესიული სამსახურებრივი საქმიანობის შეფასება;

გ) საკლასო ჩინის მინიჭებასა ან ჩამორთმევასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება;

დ) მოხელის პროფესიული დონის გამოყენების პერსპექტივების განსაზღვრა;

ე) მოხელის კვალიფიკაციის ამაღლების, პროფესიული მომზადების ან გადამზადების საჭიროების დადგენა;

ვ) მოხელის პროფესიული ზრდის სტიმულირება;

ზ) მოხელის კარიერის დაგეგმვა და მართვა.

2. ატესტაციის ამოცანაა მოხელის კვალიფიკაციის, პროფესიული დონის, შესაძლებლობებისა და პიროვნული თვისებების შეფასება და დაკავებული თანამდებობის მოთხოვნებთან (მისი?) შესაბამისობის განსაზღვრა.

მუხლი 18. ატესტაციას დაქვემდებარებული პირი

1. ატესტაციას ექვემდებარება:

ა) მოხელე 3 წელიწადში ერთხელ (საატესტაციო პერიოდი);

ბ) მოხელე, რომელიც წამოყენებულია სამსახურებრივი დაწინაურებისათვის;

გ) კანდიდატი მოხელის თანამდებობაზე, თუ თანამდებობა კონკურსის წესით უნდა დაიკავონ.

2. ატესტაციას არ ექვემდებარება:

ა) მოხელე, რომელიც სამსახურში მიღებულია განსაზღვრული ვადით;

ბ) მოხელე, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს ან ირჩევს საკრებულო.

3. მოხელე, რომელიც საატესტაციო პერიოდის ბოლო წლის განმავლობაში სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდა 6 თვეზე ნაკლები ვადით, ატესტაციას ექვემდებარება მომავალ წელს.

4. მოხელე, რომელსაც უფლებამოსილება შეჩერებული აქვს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 89-ე მუხლის „ბ“, „გ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ატესტაციას გადის უფლებამოსილების აღდგენიდან ერთი თვის შემდეგ.

მუხლი 19. ატესტაციის ჩატარების დრო

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის, საკრებულოს აპარატსა და გამგეობაში ატესტაციის ჩატარების დროს განსაზღვრავს საკრებულოს თავმჯდომარე კომისიის თავმჯდომარესთან შეთანხმებით.

2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში ატესტაციას დაქვემდებარებულ მოხელეთა სიას და ატესტაციის ჩატარების გრაფიკს ამზადებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი და კომისიის თავმჯდომარის წარდგინებით ბრძანებით ამტკიცებს საკრებულოს თავმჯდომარე.

3. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობაში ატესტაციას დაქვემდებარებულ მოხელეთა სიას და ატესტაციის ჩატარების გრაფიკს ამზადებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადამიანური რესურსების მართვის სამსახური და კომისიის თავმჯდომარის წარდგინებით ბრძანებით ამტკიცებს საკრებულოს თავმჯდომარე.

4. ატესტაციის გრაფიკის, პროგრამის და პირობების შესახებ ატესტაციას დაქვემდებარებულ პირს უნდა ეცნობოს ატესტაციის დაწყებამდე ორი კვირით ადრე მაინც.

5. ამ მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნული ინფორმაციის საჯაროობას უზრუნველყოფს კომისიის თავმჯდომარე.

მუხლი 20. ატესტაციის ჩატარების წესი

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში ატესტაციის პროცესის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე, ატესტაციას დაქვემდებარებული მოხელის უშუალო ხელმძღვანელი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში წარადგენს დახასიათებას (დანართი №2). იმავე ფორმას ავსებს და წარადგენს ატესტაციას დაქვემდებარებული მოხელე.

2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობაში ატესტაციის პროცესის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე, ატესტაციას დაქვემდებარებული მოხელის უშუალო ხელმძღვანელი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურში წარადგენს დახასიათებას (დანართი №2). იმავე ფორმას ავსებს და წარადგენს ატესტაციას დაქვემდებარებული მოხელე.

3. მოხელეს უფლება აქვს ატესტაციის დაწყებამდე გაეცნოს ხელმძღვანელის მიერ მასზე შედგენილ დახასიათებას.

4. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში ატესტაციის ჩატარებისათვის შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებას უზრუნველყოფს საკრებულოს აპარატი.

5. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობაში ატესტაციის ჩატარებისათვის შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებას უზრუნველყოფს გამგეობის ადამიანური რესურსების მართვის სამსახური.

6. ატესტაცია შესაძლებელია ჩატარდეს ტესტირების ან/და გასაუბრების ფორმით. ტესტირების თემატიკას მოხელის მიერ დაკავებული თანამდებობის სპეციფიკის გათვალისწინებით განსაზღვრავს კომისია საკრებულოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით.

7. გასაუბრება იმართება იმ სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელის თანდასწრებით, სადაც პირი მუშაობს.

8. გასაუბრების გზით ატესტაციის ჩატარებისას, მოხელის დაკავებულ თანამდებობასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, კომისია ისმენს მოხელის ანგარიშს საატესტაციო პერიოდში გაწეული საქმიანობის შესახებ, ამოწმებს მის ცოდნას საკვალიფიკაციო თემატიკის შესაბამისად და უსვამს მას კითხვებს მის სამსახურებრივ მოვალეობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

9. ატესტაციაზე მოხელის საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში საკითხის განხილვა გადაიდება შემდგომი სხდომისათვის. არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში მოხელე კომისიის გადაწყვეტილებით იღებს ამ წესის მე-20 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შეფასებას.

მუხლი 21. მოხელის შეფასება და გადაწყვეტილების მიღება

1. ატესტაციის დროს კენჭისყრის და გადაწყვეტილების მიღების წესი განისაზღვრება ამ წესის მე-7 მუხლის შესაბამისად.

2. საჭიროების შემთხვევაში, კომისია ისმენს მოხელის და მისი უშუალო ხელმძღვანელის განმარტებებს;

3. ატესტაციის შედეგების მიხედვით კომისიას გამოაქვს ერთ-ერთი შემდეგი შინაარსის დასკვნა:

ა) მოხელე შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას და ექვემდებარება დაწინაურებას;

ბ) მოხელე შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

გ) მოხელე ნაწილობრივ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას (საჭიროებს კვალიფიკაციის ამაღლებას);

დ) მოხელე არ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.

4. საჭიროების შემთხვევაში, კომისია იღებს გადაწყვეტილებას და საკრებულოს თავმჯდომარეს წარუდგენს წინადადებას მოხელისათვის საკლასო ჩინის მინიჭების ან ჩამორთმევის შესახებ.

მუხლი 22. ატესტაციის შედეგები

1. კომისია ვალდებულია თითოეული მოხელის ატესტაციის შედეგების შესახებ მოამზადოს დასკვნა, რომელიც ფორმდება სხდომის ოქმით და მას ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და წევრები.

2. ატესტაციის შედეგები შეტანილი უნდა იქნეს საატესტაციო ფურცელში, რომელიც ივსება ერთ პირად და დახასიათებასთან ერთად დაერთვის მოხელის პირად საქმეს. საატესტაციო ფურცელს (დანართი №3) ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და წევრები.

3. მოხელე საატესტაციო ფურცელს ეცნობა შევსებიდან ორ დღეში და ხელს აწერს მას.

4. ატესტაციის პროცესის დასრულებიდან ერთ კვირაში კომისია საკრებულოს თავმჯდომარეს მოახსენებს ატესტაციის შედეგების შესახებ.

5. საკრებულოს თავმჯდომარე (გამგებელი) კომისიის დასკვნისა და რეკომენდაციის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას, საკლასო ჩინის მინიჭების/ჩამორთმევის, კვალიფიკაციის ამაღლების, დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების ან მოხელის დაწინაურების შესახებ, ატესტაციის დასრულებიდან ერთი თვის განმავლობაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. თუ ატესტაციის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, მოხელე არ შეესაბამება ან ნაწილობრივ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას და იგი სხვა თანამდებობის დაკავებაზე ან კვალიფიკაციის ამაღლებაზე უარს აცხადებს, საკრებულოს თავმჯდომარეს (გამგებელს) უფლება აქვს მოხელე გაათავისუფლოს თანამდებობიდან.

თავი V

დავის განხილვა და გადაწყვეტა

მუხლი 23. საპრეტენზიო კომისია და დავის გადაწყვეტა

1. კონკურსის/ატესტაციის პროცედურებსა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების განხილვის მიზნით, საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით, იქმნება საპრეტენზიო კომისია.

2. საპრეტენზიო კომისიის წევრთა რაოდენობას და შემადგენლობას განსაზღვრავს საკრებულოს თავმჯდომარე.

3. საპრეტენზიო კომისიის შემადგენლობაში შედიან კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და წევრები. კომისიის წევრი, რომელიც მონაწილეობდა კონკურსის/ატესტაციის რომელიმე ეტაპის ჩატარებაში, არ შეიძლება იყოს საპრეტენზიო კომისიის შემადგენლობაში.

4. საპრეტენზიო კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს თავმჯდომარის მოადგილე.

5. საპრეტენზიო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება.

6. საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადაწყვეტად ითვლება თავმჯდომარის ხმა.

7. საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება სხდომის ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ საპრეტენზიო კომისიის სხდომის თავმჯდომარე და დამსწრე წევრები. საპრეტენზიო კომისიის წევრს უფლება აქვს გამოხატოს განსხვავებული აზრი და დაურთოს ოქმს, რის შესახებაც კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

8. პირს საპრეტენზიო კომისიისადმი მიმართვის უფლება აქვს კონკურსის/ატესტაციის შედეგების გამოცხადებიდან/საატესტაციო ფურცლის გაცნობიდან არა უგვიანეს 2 დღისა. საპრეტენზიო კომისიის სახელზე შეტანილი განცხადება განიხილება 3 დღეში. გადაწყვეტილების მიღების შემდეგ შედგება ოქმი, რომელშიც საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილებასთან ერთად აისახება გამოვლენილი ხარვეზები და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად წარედგინება საკონკურსო-საატესტაციო კომისიას.

9. ოქმს ხელს აწერენ საპრეტენზიო კომისიის თავმჯდომარე და კომისიის დამსწრე წევრები.

10. საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს კომისია საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილების გათვალისწინებით. კომისიას უფლება აქვს საჭიროების შემთხვევაში მოიწვიოს გაფართოებული სხდომა საპრეტენზიო კომისიის წევრების მონაწილეობით.

12. კონკურსის ან ატესტაციის პროცესთან ან შედეგებთან დაკავშირებული დავა წყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მოხელის დახასიათება

სახელი, გვარი -----

დაკავებული თანამდებობა -----

სამსახურებრივი მოვალეობების ჩამონათვალი

საატესტაციო პერიოდში შესრულებულ საკითხთა ჩამონათვალი და შედეგების შეფასება

პროფესიული და ინდივიდუალური ჩვევები

დადებითი და უარყოფითი მხარეები

წახალისება

დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები

წინადადებები კვალიფიკაციის ამაღლების, წახალისების, თანამდებობრივი დაწინაურების, სპეციალური წოდების ან საკლასო ჩინის მინიჭების შესახებ

ხელმოწერა -----

თარიღი -----

საატესტაციო ფურცელი

მოხელის სახელი, გვარი -----

დაბადების თარიღი და ადგილი -----

დაკავებული თანამდებობა და დანიშვნის თარიღი

თანამდებობრივი რანგი, საკლასო ჩინი, სპეციალური წოდება

განათლება (სასწავლო დაწესებულება, სპეციალობა)

სამეცნიერო ხარისხი, სამეცნიერო წოდება

შრომის საერთო სტაჟი (მ/შ საჯარო სამსახურში) -----

საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დასკვნა -----

საკონკურსო-საატესტაციო კომისიის რეკომენდაცია -----

შენიშვნა -----

კომისიის თავმჯდომარე -----

კომისიის წევრები -----

სამუშაოს აღწერა

დაწესებულების დასახელება	
დაწესებულების ტიპი	
დაწესებულების მისამართი	
საფოსტო ინდექსი	
თანამდებობა	
უშუალო დაქვემდებარებაშია (თანამდებობის დასახელება)	
დაქვემდებარებული პერსონალის რაოდენობა თანამდებობათა აღნიშვნით	
მუშაკის არყოფნის პერიოდში მის მოვალეობას ასრულებს	
სამუშაო დღის ხანგრძლივობა (დაწყება, დამთავრება, შესვენება)	
დაკისრებული მოვალეობის შესრულებისას ურთიერთობა აქვს:	
ფუნქციები	

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

განათლება	
აუცილებელი:	სასურველი:
ცოდნა	
აუცილებელი:	სასურველი:
გამოცდილება	
აუცილებელი:	სასურველი:
საქმიანი თვისებები	

საკრებულოს თავმჯდომარე (გამგებელი):

კანდიდატის განაცხადის ფორმა

პირადი ინფორმაცია	
სახელი, გვარი	
დაბადების რიცხვი, თვე, წელი	
ტელეფონის (სახლის, მობილური)	
მისამართი (იურიდიული, ფაქტობრივი)	
ელ. ფოსტა	
პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის №, პირადი №	

განათლება			
სასწავლებლის დასახელება	სწავლის პერიოდი	სპეციალობა	კვალიფიკაცია

საკვალიფიკაციო კურსები	
კურსის, ტრენინგის დასახელება	კურსის, ტრენინგის ჩატარების ადგილი და პერიოდი

სამუშაო გამოცდილება

ორგანიზაციის დასახელება	დაკავებული თანამდებობა	მუშაობის პერიოდი	ორგანიზაციის მისამართი

უცხო ენების ცოდნა

უცხო ენა	საშუალოდ, კარგად, სრულყოფილად

კომპიუტერული პროგრამების ცოდნა

პროგრამა	საშუალოდ, კარგად, სრულყოფილად

დამატებითი ინფორმაცია თქვენ შესახებ

--

კანდიდატის შეფასების ფორმა

კანდიდატის სახელი, გვარი	
სტრუქტურული ერთეულის უფროსის სახელი, გვარი	
ვაკანსიის დასახელება	
გასაუბრების თარიღი	

შეაფასეთ კანდიდატი შკალით 1-დან 4-მდე მოცემული ფაქტორების მიხედვით (1 - არაადამაკმაყოფილებელი; 2 - საშუალო; 3 - კარგი; 4 - ძალიან კარგი).

სამუშაო გამოცდილება: შეაფასეთ რამდენად შეესაბამება კანდიდატის სამუშაო გამოცდილება და კვალიფიკაცია ვაკანტური თანამდებობის მოთხოვნებს.

კომენტარი:

განათლება: შეაფასეთ რამდენად შეესაბამება კანდიდატის განათლება ვაკანტური თანამდებობის მოთხოვნებს.

კომენტარი:

ანალიტიკური აზროვნება (ივსება იმ შემთხვევაში, თუ ვაკანტურ თანამდებობას გააჩნია შესაბამისი მოთხოვნები): შეაფასეთ კანდიდატის ანალიტიკური აზროვნება.

კომენტარი:

ლიდერობა (ივსება იმ შემთხვევაში, თუ ვაკანტურ თანამდებობას გააჩნია შესაბამისი მოთხოვნები): შეაფასეთ კანდიდატის ლიდერობის უნარი (სტრატეგიული აზროვნება, თვითკონტროლი, სხვათა დარწმუნების უნარი, და ა.შ.)

კომენტარი:

კანდიდატის ზოგადი შეფასება: იმ შემთხვევაში, თუ კანდიდატმა წარმატებით გაიარა გასაუბრება, მაგრამ არ შეესაბამება ვაკანტურ თანამდებობას, გთხოვთ მიუთითოთ ის სტრუქტურული ერთეული, რომელშიც მიზანშეწონილად მიგაჩნიათ მისი მუშაობა.

კანდიდატის შეფასება: გასაუბრების საფუძველზე შეაფასეთ, თუ რამდენად შეესაბამება კანდიდატი ვაკანტურ თანამდებობას:

შეესაბამება

არ შეესაბამება

კომენტარი:

კონკურსანტის
ფოტოსურათი

კონკურსანტის ფურცელი N—

მოქ. _____

(სახელი, გვარი, პირადი N)

დაშვებულია ლანჩუთის მუნიციპალიტეტის _____ თანამდებობაზე გამოცხადებულ
კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო-საატესტაციო კომისიის

თავმჯდომარე

(ხელმოწერა)

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №**

2013 წლის ივნისი
ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეთა კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის საქმიანობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი-ს 106¹-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის შესაბამისად:

მუხლი 1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეთა კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის საქმიანობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

მუხლი 2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეთა კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის საქმიანობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ცნობა (თან ერთვის) ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ გამოქვეყნდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106²-ე მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად;

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად;

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ამირან გიგინეიშვილი

ცნობა

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეთა კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის საქმიანობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი აღნიშნავს, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დაწყებულია ადმინისტრაციული წარმოება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეთა კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის საქმიანობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეთა კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის საქმიანობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები შეუძლიათ წარმოადგინონ 2013 წლის 21 ივნისამდე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში მისამართზე: ქ. ლანჩხუთი, კოსტავას ქ. N37, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მე-2 სართული (პასუხისმგებელი პირი ნინო ძიძიგური – საკრებულოს აპარატის უფროსი, ტელ: 0494 22-30-09).